

# ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა

## მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

## მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა:

- ა) თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით.
- ბ) თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩატარება პროგრამის მოსარგებლებსათვის.

## მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის ჩატარება.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

## მუხლი 4. პროგრამის კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

კომპონენტი	მომსახურების მოცულობა
1. ჰემო და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	ა)ნეფროლოგის კონსულტაცია ბ)სადიალიზზე საშუალებებით/მასალით უზრუნველყოფა გ)მედიკამენტებით უზრუნველყოფა დ)კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები საჭიროების მიხედვით ე)სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა
2. თირკმლის ტრანსპლანტაცია	თირკმლის გადანერგვის ოპერაცია

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. ჰემოდალიზის სეანსის ღირებულება შეადგენს 120 ლარს.
2. პერიტონეული დიალიზის ერთი სეანსის ღირებულება შეადგენს 12.5 ლარს
3. ჰემო და პერიტონეული დიალიზის სეანსების რაოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) მიხედვით.
4. სისხლძარღვოვანი მიდგომის ფასი განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	ინტერვენცია	ღირებულება
1.	ჰემოდალიზისათვის არტერიო-ვენური სადიალიზო ფისტულის ფორმირება პროთეზის გამოყენებით	1 700.0
2.	ჰემოდალიზისათვის არტერიო-ვენური სადიალიზო ფისტულის ფორმირება წინამხარზე	550.0
3.	ჰემოდალიზისათვის არტერიო-ვენური სადიალიზო ფისტულის ფორმირება მხარზე	450.0
4.	თრომბოზით გართულებული არტერიოვენური სადიალიზო ფისტულა თრომბექტომიით	370.0
5.	კვინტონის გრძელვადიანი კათეტერის იმპლანტაცია	650.0

1. ტრანსპლანტაციის ერთი ოპერაციის ღირებულება შეადგენს 19 995.6 ლარს.

მუხლი 6. პროგრამის მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. მომსახურების შესყიდვა ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, სატენდერო პირობებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება “ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო” (შემდგომში – “სააგენტო”) და ინფორმაციის სახით წარუდგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – “სამინისტრო”).
3. დიალიზზე პაციენტთა ჩართვა ხორციელდება “პროგრამულ დიალიზზე პაციენტთა ჩართვის ინსტრუქციის” შესაბამისად (დანართი №1.1).
4. თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის ერთი მეთოდის მეორეთი ჩანაცვლება ხორციელდება შეუფერხებლად, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15 748.5 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

№	ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლი ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
1.	ჰემო და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	15 458.6
2.	სისხლმარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა	50.0
3.	თირკმლის ტრანსპლანტაცია	239.9
	სულ	<b>15748.5</b>

პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში, მოსარგებლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, დასაშვებია კომპონენტებს შორის საბიუჯეტო ასიგნებების გადანაცვლება.

დანართი №1.1

პროგრამულ დიალიზზე პაციენტთა ჩართვის ინსტრუქცია

1. ეს ინსტრუქცია ადგენს პაციენტთა პრედიალიზზე და შემდგომ დიალიზზე აყვანის პროცედურას:

ა) პრედიალიზზე აყვანას ექვემდებარებიან თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადიის მქონე ავადმყოფები შემდეგი ნეფროლოგიური დაავადებით:

ა.ა) პირველადი ქრონიკული გლომერულონეფრიტები: ერგეს დაავადება, ექსტრამემბრანული გლომერულონეფრიტი, სემინტური და ფოკალური ჰიალინოზი, ქრონიკული პროლიფერაციული გლომერულონეფრიტი

ა.ბ) მეორადი ქრონიკული გლომერულონეფრიტები: დიაბეტური ნეფროპათია, ამილოიდოზი, სისტემური დაავადებები, ჰეგენერ-ის დაავადება, ოოდპასტურე-ს სინდრომი, პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი, ჰემოლიტიკო-ურემიული სინდრომი.

ა.გ) ჰიპერტენზია და ნეფროანგიოსკლეროზი

ა.დ) ქრონიკული ინტერსტიციალური ნეფროპათია: ქრონიკული პიელონეფრიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება (ნეფროკალცინოზი, ცისტინოზი, ოქსალოზი), მედიკამენტური ნეფროპათია (ანტიბიოტიკები, ანალგეზიური და ნეფროტოქსიური პრეპარატები), უროლოგიური დაავადებით გამოწვეული ნეფროპათიები.

ა.ე) თანდაყოლილი დაავადებები: თირკმლის ჰიპოპლაზია და დისპლაზია, თირკმლის პოლიცისტური დაავადებები, ლზორტ-ის სინდრომი, აბრყ-ს დაავადება და სხვა.

ა.ვ) უცნობი ეტიოლოგიის ნეფროპათიები.

ბ) პრედიალიზზე აყვანას არ ექვემდებარებიან პაციენტები შემდეგი

დაავადებებით:

ბ.ა) ავთვისებიანი სიმსივნეები, ავთვისებიანი სიმსივნეები მეტასტაზებით, მათ შორის მრავლობითი მიელომა;

ბ.ბ) გულის რთული დეკომპენსირებული მანკები, სხვა გულის ორგანული დაავადებები გართულებული გულის უკმარისობის IIბ, III სტადიით;

ბ.გ) სასუნთქი სისტემის დაავადებები გართულებული პნევმოსკლეროზითა და რესპირატორული უკმარისობით (დეკომპენსირებული სტადია)

ბ.დ) ღვიძლის ციროზი (III და IV სტადია)

ბ.ე) ფსიქიური დაავადებები დაბალი ინტელექტით.

გ) პირველადი პაციენტის პრედიალიზზე აყვანისას:

გ.ა) სათანადო პროფილური განყოფილების მკურნალი ექიმის მიერ ივსება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), იხსნება პაციენტის სამედიცინო ბარათი (ფორმა №IV-001/ა), რომელშიც მითითებული იქნება ქრონიკული დაავადების სტადია და თანმხლები დაავადებები;

გ.ბ) ფორმა №IV-100/ა-სა და ფორმა №IV-001/ა-ს საფუძველზე ხდება პაციენტის რეგისტრაცია.

2. პროგრამაში ჩართვა ხორციელდება გამონთავისუფლებულ ადგილებზე პრედიალიზის სიიდან, უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის პაციენტებს.